



საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი

გამომდის 1992 წლის იანვრიდან №3 (44), ივნისი (საუხილური გამოშვება), 2013 წელი

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი

C
M
Y
K



ირაკლი აბაშიძე

თამაზ ბაგშიანი

თამაზ ბაგშიანი



ვალერი სმერჩიკი მანუჩარ შახვაშია

ზურაბ გორგილაძე

თამაზ ბაგშიანი

ჩემო მეგობრებო, მეტყველებო, გაბიგებო, მეგობრო, თუ რატომ ვწერ აწყო დროში. ვიგონებ წარსულს და მის ნაუკლოვებ ვეუერები ვცხს!!! დიას, პირველ რიგში, ადამიანს და შედეგ დიდ ხელოვანს, საზოგადო მოღვაწეს, რომამ ბათუმელს და ჩემს მეგობარს თამაზ ბეგანიძეს.

ჩემო თამაზ, მე და თქვენ ხომ, ვარგა ხანია, ერთად ვართ და ამ პერიოდის განმავლობაში ყოველივეს ვგაძნობთ თქვენს ზრუნვას. თქვენ პირდაპირ მეუბნებით ჩემს ნაკლს და მიქები იმ ნაბიჯებს, რაც ვარგად გამოძის. განსოვს ვხიხელთ ლექსი მასწავლო, შემიქე - დაიბანსოვრე, მაგრამ გამოთქმით ვერ მეტყუებო. არადა, არ მინდა ამ ლექსს გამოთქმით ვამბობდე (სამშობლო მიუბო, შენი შეილი განებებს თვისა...) დიას, ვხელები შენი გამოძეველებით რომ მეუბნები: „ გეყოფა ახლა დაჯექი მანდ ვატივს ბიჭი, რამდენს ლაბარაუბ ჩემზე“. ბატონო თამაზ, ცოტაც მეტადე ვიცი, არ მოგწონს, როცა გაქებენ. არც შენი საღამოს გადახდა გინდა, იუბილო არ ზაგვატარებინე არ მოგწონს საფარძელში ჯდომა და გამოძსელოების ზოტის მოსმენა. ახლა იმასაც მეტყუე, „საქმე უნდა წარმოაზინოს ვეველა და არა საუბარმაო“. სწორედ ებ არის, რასაც ვსწავლობ თქვენგან. როდესაც გადილებს ერიც და ბერიც და თქვენთან ყოფნა, საქმის კეოება, ჭირის და ლხინის ატანა საამაყო ჩემთვის ... და ერთიც, ამურადლოვის გაგვიარჯოს“.

ამირან ვანიჭაძე
ჟურნალისტი

ინდეთ ჰინოტონებსთან. როგორიც თამაზ ბეგანიძე
ოლო, შეიძლოებელია. თბილი რა წასიამოვნო
მოტონებები არი გვაჯავშირებოებს. ის გამომიჩიოებს
ოუმოლოით. სტუმარ-მასპინძლობით. უმუჯლობით.
ბატონი თამაზი არა მარტო ჩვენს ხელომდოვანელი.
არამედო უფროსი მეგობარითც ოლო. ძალიან
გყოლადანს უყვრის. რომ ჩვენს გვერდით არაწი არის
სხვითი რიბიბულოი ჰინოტონებს.

სახელმწიფო ანსამბლის გუნდის ხელმძღვანელი
გიორგი ჩხარტიშვილი



თამაზ ბაგშიანი

ილიაკო სუშიშვილი

რამო ჭანიშვილი

სამაგალითო რაინდები



თამაზ ბეჟანიძე გურამ ბაკურაძე

საუკუნეების მანძილზე ხშირად შეხვედებით ჩვენი ისტორიაში სამშობლოსათვის თავდადებულ რაინდებს, ძმობისა და სიყვარულის ბიჭებს, ქალაქის დამამშვენებელ კოლორიტებს. ასე უხდებოდნენ ჩვენს ქალაქს საბავშვო ბაღიდან სიცოცხლის ბოლომდე თამაზ ბეჟანიძე და გურამ ბაკურაძე (მოსე). განუყოფელი ძმები, სამაგალითო რაინდები, ერთმანეთისთვის დაბადებულნი. გურამ ბაკურაძე დღესაც ცრემლიანი, გულმოუშუბელი დადის ჩვენს ქალაქში. ისევ დაეძვრა თავის შესისხლბორცებულ ძმას, ჩვენი ქალაქის ქუჩებში. ეძებს ადამიანებს, ვინც თამაზ ბეჟანიძეს იცნობდა.

ერთი თვის წინ ბათუმში გახლდით და მოვიხსნა ბატონი გურამი. როგორც კი დამინახა, თვალები გაუნათდა და გაუხარდა. იცოდა, რომ ჩვენი შეხვედრა და საუბარი ჩემი მასწავლებლისა და მისი მეგობრის გახსენ-

ებით დაიწყებოდა. ასეთი რამ მითხრა: „გოგითა გარეთ გასვლა აღარ მინდა და როცა ქუჩაში გავედივარ, ველოდები იქნებ ისეთი ვინმე გამოჩნდეს, ვინც თამაზის იცნობდა. მის შესახებ ცოტა დამელაპარაკოს, რომ ცოტა გულზე მომეშვასო“. დღე არ გასულა ძმის სასაფლაო არ მოინახულოს და არ მიეფეროს. იგი ბოლომდე ერთგული და მოსიყვარულე დარჩა თავისი ძმისა და დღეს თავისი მეგობრის გაზრდილებში ეძებს იმ სიტბოს და სიყვარულს, რომელიც თამაზ ბეჟანიძემ დატოვა. მე მხოლოდ ამით შემძლია ვანუგემო, რომ ჩემნაირი მასწავლებელი და მისნაირი ძმა არავის ჰყოლია! ჩვენში ყოველთვის ცოცხალი დარჩება თამაზ ბეჟანიძე.

ჩვენი ქალაქის ქუჩებში ვეძებ. არ მიმიშუშდა გულში ისია. ის დაფუშავე ამ ნუთისიფელს. ვჩივავდივით რომ ვადაძიანა!

გიორგი ჭანიშვილი



თამაზ ბეჟანიძე გურამ ბაკურაძე

არის ასეთი პოსტულატური ასპექტის მქონე გამოთქმა ძველი თბილისელი, ანალოგიურად ასევე ბათუმელიც. საერთოდ, ამისი შინაარსობრივად კლასიფიცირება მეტად წინააღმდეგობრივია, მაგრამ მეორე შემთხვევაში, ანუ ჩვენი ქალაქის სინამდვილისათვის ეს, ასე თუ ისე, აღიარებდა იმ კონცეფციას, რომ ადამიანს, პირველ რიგში, მოკრძალებულობა ამკობს, სტუმართმოყვარეობა, ინტელიგენტურობა. ვიყოთ პირდაპირი, „ცოტა“ დარდიმანდული და ასე შემდეგ.

ჩემი აზრით, ამ თვისებების მატარებელს ნიშნავდა სიტყვების ტანდემი „ძველი ბათუმელი“. ეს ისეთი „პასპორტი“ იყო, საქართველოს ნებისმიერ ადგილას ნდობის საშუალებად აღიარებდა. საბედნიეროდ, ამ გაუსაძლის ყვამს, აღნიშნული თვისებების მატარებელი კორნეგენტის დეფინიცია მაინც არ განიცდის ჩვენი „წვიმიანი მზიანეთი“. ძველი

ფეხბურთის თამაშს, არამედ მხატვრული თვითშემოქმედების წრეებში გაერთიანებასაც. სათანადო მონაცემების მქონე გოგონები და ბიჭუნებიც არ ჰკარგავდნენ თავიანთ გზა-კვალს. ამ ყმანვილებმაც, დასტურ ძველმა ბათუმელებმაც, დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ რომ გადაულიათ ეს სურათი, ვინ მოთვლის, ჩოხა-ახალუხებითა თუ ჩაქურებით, ცეცხლოვანი ცეკვებით რაოდენი ემოციები აღუძრეს მათი შემართების მხილველებს. დავაყვაცების შემდეგ ხომ მათი სახით ნამდვილი პალადინები (მეფის ამალის რაინდები) ევლინებოდა აუდიტორიას. აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი თამაზ ბეჟანიძე ისეთი ინტერპრეტაციამპროვიზებით ასრულებდა ცალკეულ ილეთებს, ამისი ეკვივალენტურად აღწერა შეუძლებელია. მხოლოდ ვიტყვი, ფანტასმაგორია ამაზე შორს ვერ წავა,

აღმზღველი და მასწავლებელი

„კაცური კაცის სიცოცხლე ის არის, რომ უნდა ინვოდეს კვარით, სანთელივით, კოცონივით, მზესავით, როგორ ხვედრსაც გარგუნებს განგება, ისე! იმაზეც უნდა იფიქრო, შენ რომ ჩაქრები, წყვილია ვერ დაისადგუროს ირგვლივ. სანამდე ანთიხარ, ისე უნდა ენთო, რომ სხვაც ანთოს შენმა სიცოცხლემ და აღარ შეიქმნება სიბნელე შენი წასვლის შემდეგ“. – გენიალური მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვები თამაზ ბეჟანიძის ნაირ კაცებზეა დაწერილი. 70 წელი ამ დარულვეველი კანონებით იცხოვრა და აღზარდა თაობები.

ლბელი არავის ჰყავდა. ჩემი მოცეკვავედ და პედაგოგად ჩამოყალიბება მისი დამსახურებაა, ყოველი ჩემი წარმატება მისი სახელის დიდებაა. 3 ივნისს 72 წლის გახდებოდა. იგი ვალმოხდილი წავიდა ჩვენი ცხოვრებიდან და დაგვიტოვა ნათელი გზა სათუთად გასავლელი. წელიწადი და ორი თვე გავიდა მისი გარდაცვალებიდან და დღესაც ვერ მოვიშუშეთ ჭრილობა. არ მეგ-

ქეშმატიცად ბეული მათემელები

ბათუმელის გამონცობაც არ არის ძნელი, რადგან ქცევის მანერები უნებლიედ ააპარავებს მის ვინაობას. მაინც რა?! ეს უკვე ზოგადად ითქვა და ვიმედოვნებ, დამეთანხმებით, გულითადობით იშვიათად თუ შეედრება ვინმე, ინტერნაციონალური ბუნებით, მანდილოსნებისადმი დელიკატური დამოკიდებულებით. მერე ვის გაუგონია ისეთი ბათუმელი, ცოტას რომ არ მღერის, შიგადაშიგ არ ურთავს ცეცხლოვან „განდაგანას“, მხარული ცურვით არ მიაპობს შავი ზღვის აზვირთებულ ტალღებს...

რაც შეეხება გურამ ბაკურაძეს, მისი ჰაბიტუსი წარმოგვიდგენდა მითიურ პერსონაჟს, ქანდაკებისამებრ ჩამოქნილს. დახს, სცენურობას, გნებავთ, პირუტყვის ვირტუოზული შესრულების თვალსაზრისით მას კონკურენტი ცოტა ჰყოლია თვით ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის საქვეყნოდ აღიარებულ კოლექტივში, მაგრამ ბათუმის მონატრებამ საბოლოოდ ათქმევინა უარი ბრწყინვალე სამსახიობო კარიერაზე. არ ვაჭარბებ, ვერაფრით დაითანხმებს იმაზე, შეეცვალა ჯიუტი გადანყვეტილები.

და კიდევ, ადრე ნასულ მეგობარს შესანდობარი არ უთხრას ჭიქა ღვინით. მერე რა, თუ ოდესღაც, კერძოდ, იმ დროს, როცა მოკლე შარვლებით გვიხდებოდა თავის „მოწონება“, ერთმანეთს სიყვარულით ზედმეტ სახელებსაც ვარქმევდით. ვთქვათ, „ოტელოს“, „სუსლიკას“, „მუსოლინს“, „პეჩორინსა“ თუ „მოსეს“. ასე რომ, ყველაფერს ვასწრებდით. განა, მარტოოდენ ლახტისა და

და ჩემი მომღვერო თაობის უკვე გაჭალარავებულ ამ წარმომადგენლებს თვალს რომ მოვკრავ, სადაც უნდა იყვნენ, თავდაც მემამყება მათი ძველი ბათუმელობა, ისიც, მიმბაძველებიც რომ არ ჰყავთ თითებზე ჩამოსათვლელი.

ვლადიმერ დარჩია

აღმზრდელი, მასწავლებელი, სამაგალითო რაინდი, ერთგული, მოსიყვარულე, მეგობრობისთვის თავდადებული, სტუმართმოყვარე, ჭირსა და ლხინში გამათბობელი, სიკეთით სავსე, მაღლიანი და, ვინ მოთვლის, მრავალს, რაც ამ ერთ კაცში ჩასახა უფალმა. დიდა იმ სიკეთის ჩამონათვალი, რაც ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის დათესა თამაზ ბეჟანიძემ. იგი არა როგორც მასწავლებელს, არამედ როგორც შვილებს, ისე გვზრდიდა და გვპატრონობდა.

„ჩემი ბავშვობის მოგონებები შენით იწყება, შენით მთავრდება, ჩემზე გახარჯულ მადლს და სიკეთეს დღეს სათვალავი არ უმთავრდება“.

ექვსი წლის ასაკში მიმიყვარეს თამაზ ბეჟანიძესთან. ბედნიერ და ილბლიან კაცად ვთვლი თავს, რომ ამ კაცის გაზრდილი ვარ. სატრაბახოდ მაქვს, რომ ჩემნაირი მასწავ-



თამაზ ბეჟანიძე გიორგი ჭანიშვილი

ულეა ქალაქში, საზოგადოებაში, ადამიანი, ვინც კი თამაზ ბეჟანიძეს იცნობდა, ცრემლმორეული არ გაიხსენოს კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს. იგი ყოველთვის საამაყო და სამაგალითო დარჩება ჩემი სიცოცხლის ბოლომდე. მაღლობას ვუხდი მის უკვდავ სახელს და სულს, რომელიც სამარადისოდ მიიღო უფალმა.

„მადლობა არ ითქმის უბრალო სიტყვით! დავეძებ სიტყვას შენთან რომ ითქმის, შენი წასწავლი ქართული ცეკვა, დრო მოვა ჩემში ოდესღაც იტყვის“...

გიორგი ჭანიშვილი

ამჟვენიდან სახელოვანი ბიოგრაფიით ნაჰილა

C
M
Y
K

უდაოდ, მოუშუშებელი ტკივილია, რომ აღარ გვყავს ძვირფასი მეგობარი, ქართველ კაცობით ნაქები, საქვეყნოდ აღიარებული ხელოვანი **თამაზ ბეჟანიძე** უკურნებელმა სენმა ჩააქრო მისი სიცოცხლე. სიცოცხლე კი მისთვის დიდი ადამიანური მოვალეობა იყო. მუდამყამს მოუსვენარი საერთო-სახალხო საქმისა და ქვეყნისთვის ზრუნავდა. არ ნებდებოდა მოქანცულობას, ცხოვრების რიტმის დარღვევად მიაჩნდა უმოქმედობა. მართლაც სამაგალითო თვისებებით გამოირჩეოდა. ჩინებულად გაეგებოდა დიდი ილია ჭავჭავაძის შეგონება: „...რასაც ვმსახურობთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახურეთ“. ამ მხრივ, მონოდების სიმალლეზე იდგა. მოუღლელი გუთნისდედასავით ეწეოდა ქართული ცეკვის მიმე სახნისს, ყველგან თავისი „კვალი განახლებული“ დატოვა.

ნახევარ საუკუნეზე მეტხანს იღვანა მგზნებარე გულის ხელოვანმა, რომ იტყვიან, „ერთი დღეც არ ჰქონია მშვიდი, უსატყვარო“. სამაგიეროდ, ძნელად ჩამოსათვლია სანაქებო განცდები, მზენაქები გამარჯვებები, თავისი შემოქმედებითი ცხოვრების გზა-სავალზე რომ მოუპოვებია.

სახელოვანი შემოქმედის ნაშრომ-ნაჯაფზე, საშვილიშვილო მონაპოვრებზე არაერთი პუბლიცისტური წერილი, ნარკვევი დაინერა, ყველა ისინი დამაჯერებლად მოგვითხრობენ მის უქრობ ნიჭიერებაზე და ტალანტზე.

...ბავშვობისას ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის ანსამბლში ცეკვადა. შრომისმოყვარეობასაც უწონებდნენ და ხალისიან სცენირებას.

ყველას ანცვიფრებდა ამ ცეცხლოვანი ახალგაზრდის შეუდარებელი საცეკვაო გარდასახვები. გასაკვირიც არ იყო, რომ თექვსმეტი წლის ბიჭი აჭარის პროფესიული ანსამბლის სოლისტი გახდა. უფროს კოლეგებს იმის მაგალითიც კი უჩვენა, რომ არ არსებობს დიდი და პატარა როლი, არსებობს მხოლოდ ნიჭიმადლეული მსახიობი-მოცეკვავე.

უნდა ითქვას, რომ საქმაო გამოცდილება დააგროვა. მონაწილეობდა თბილისში ჩატარებულ აჭარის ლიტერატურის და ხე-

ლოვნების დეკადის დღეებში. 1957 წელს მოსკოვის მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეექვსე საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატიც გახდა. გამორჩეული სახიერებით ამახსოვრებდა თავს საზღვარგარეთის ქვეყნების ხელოვნების მოყვარულებს. როგორც წესი, მონაწილენით ეცნობოდა სხვა ხალხების კულტურას, ყოფას, საცეკვაო ფოლკლორს, მხატვრულ თვითმოქმედებასა და პროფესიურ შემოქმედებას. მთავარი მიზნც ქართული კულტურის მსახურება იყო. ყოველთვის პოულობდა დროს ნიგნიერებისა და ცოდნა-განათლების ამალღებისათვის, სხვაგვარად შედაგოგ-ქორეოგრაფის მისია, ცეკვის სადადგმო მუშაობის თვალთახედვა უნაყოფოდ მიაჩნდა. მიზანდასახულობით გამოირჩეოდა. ამბობდა კიდევაც: „ქართული სისხლითა და ჯიშით უნდა ვემსახურო ქვეყანას, ხალხს, ახალგაზრდობას“. სიტყვა საქმედ აქცია: საქმაოდ წარმატებული, სანიმუშო საბავშვო ანსამბლები ჰყავდა ჩვენი ქალაქის პრესტიჟულ სკოლებში, ცნობილ სკოლისგარეშე დაწესებულებებში. შემოქმედებითი ხელწერა ადვილად გამოსარჩევი იყო. ხატონად აფერადებდა თითოეულ საცეკვაო ქმნილებას, აზრით სავსე საცეკვაო ხიბლით ძერწავდა აჭარულ ხალხურ კომპოზიციას, განსაკუთრებული ლექსიკა შექმნდა საოლიმპიადო და საკონკურსო ცეკვებში. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოზარდა, რომელთა ნაწილი ამჟვენებდა საქართველოს რჩეულ ანსამბლებს.

საინტერესოა, რომ გარკვეულ წლებში ჩამოაყალიბა ვეტერან მოცეკვავეთა ანსამბლი, რომელიც აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების სახელით გამოდიოდა ჩვენს მხარეში, უცხოეთის ქვეყნებში, სამთავრობო ღონისძიებებზე. 1997-2008 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ტბეთს“ ხელმძღვანელობდა და არაერთი წარმატება მოაპოვებინა საერთაშორისო ფესტივალებზე.

პოპულარულ ხელოვანს საზღვარგარეთაც იწვევდნენ. ჩინებულად დაამუშავა „განდაგანა“ ერენის სიმღერისა და

ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, მოსკოვის ქართული ცეკვის ანსამბლ „კოლხიდასა“ და „ივერიას“ შემატა თვალდასატანებელი კომპოზიციები, გააცნო მათ სასწავლო-საწვრთნელი სადადგმო მუშაობის მეთოდიკური სიახლენი, ატარებდა შინაარსიან ლექცია-საუბრებს. მის ცეკვებში მკაფიოდ გამოსჭვიოდა ავტორის ბუნება-ხასიათი, შინაგანი კულტურა, ქართული მადღმოსილება და, ასე განსაჯეთ, ნამდვილი ქართული კეთილშობილება და არისტოკრატიზმი.

მრავალმხრივმა ხელოვანმა არაერთი დადგმა განახორციელა ბათუმის დრამატულ თეატრში: სათავეში ედგა „ბათუმობის“ სადღესასწაულო კონცერტებს. აღსანიშნავია, რომ ორ ათეულ წელზე მეტხანს უძღვებოდა აჭარის ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირს, რომლის მონაწილეობაზე ბევრი რამ თქმულა. ერთი სიტყვით, თავისი კუთვნილი წვლილი შეიტანა ეროვნული ქორეოგრაფიის განვითარებაში. ყოველივე ეს დაუმცხრალი ნიჭის პატრიოტიზმის, სხივნათელი შრომისა და მეტროლი სულისკვეთების გამოხატულებაა. სავსებით სამართლიანად მიენიჭა აჭარის დამსახურებული არტისტის წოდება, გახდა ღირსების ორდენის კავალერი, ბათუმელობაც დაუმშვენეს – ბათუმის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, რომ ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, უყვარდათ იგი სრულიად საქართველოში და მაინც, მისი შემოქმედებითი ცხოვრების სიმალლეა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. რვა წელიწადი მართავდა ანსამბლს. ერთ-ერთ მონაწივედ აქცია პროფესიონალური კოლექტივი. 2009 წელს, 22 ნოემბერს, ანსამბლმა თბილისში დიდი საზეიმო კონცერტი ჩაატარა. ანსამბლის გამორჩეულ წარმატებაზე ჟურნალ „კამერტონში“ დაიბეჭდა ვრცელი წერილი, რომელსაც ხელს აწერდნენ რეზო ჭანიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, რეზო ჭოხონელიძე, უჩა დვალისვილი, თენგიზ უთმელიძე, რეზო ბალანჩივაძე.

მონონებით შეხვდა მაყურებელი ბა-



თამაზ ბეჟანიძე

თუმის ხელოვნების ცენტრში გამართულ სადღესასწაულო კონცერტს, რომელიც მიეძღვნა აჭარის დიდი ანსამბლის 90 წლისთავს. სახელოვანი ანსამბლის შემოქმედებით ცხოვრებაზე დამაჯერებლად მოუთხრო საზოგადოებას ანსამბლის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, გამოქვეყნდა მისივე ბროშურა ლამის საუკუნის თანატოლი კოლექტივის შესახებ.

და ბოლოს, ვიტყოდით, რომ ბატონ თამაზ ბეჟანიძეს მეტად თბილი ოჯახი ჰყავს... ნოდარ დუმბაძეს დავესესხები: – „მამა გვყავდაო – მისმა შვილებმა უნდა იტრახახონ, მეგობარი მყავდაო – მისმა მეუღლემ უნდა თქვას, შვილი გავზარდევო – ჩვენი მხარის ხალხმა უნდა დაიქაღნოს“.

მართლაც და, განუზომელი მადლობა უნდა ვუთხრათ სამუდამოდ თვალდახუჭულ დიდებულ მოღვაწეს, რომელიც ვალმობილი და სახელოვანი ბიოგრაფიით წავიდა ამქვეყნიდან.

ზაურ ლაზიშვილი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის დამსახურებული არტისტი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი

ქალაქ ბათუმის მერია,
გამოხატავს რა მოქალაქეების ნებას,
ანიჭებს

საქართველოს ბათუმის მერია
პატიონ თამაზ ბეჟანიძეს

ცნობილ ქორეოგრაფს, თაოვანის აღმზრდელს,
სამაგალითო რაინდსა და მოღვაწეს,
რომელიც კალიან უხედავ ჩვენს ქალაქს.

ქალაქ ბათუმის მერი *h. ჩხიძე* **რობერტ ჩხაიძე**

დ. ბათუმი
2009 წლის 23 დეკემბერი

EXPRESSING THE WILL OF THE CITIZENS,
THE CITY HALL OF BATUMI
CONFERS

THE TITLE OF HONOURABLE BATUMIAN ON
MR. TAMAZ BEZHANIDZE

FAMOUS CHOREOGRAPHER, EDUCATOR
OF GENERATION, MAJESTIC KNIGHT AND
ART WORKER WHO DECORATES OUR CITY

ROBERT CHKHAIDZE *h. ჩხიძე* **MAYOR OF BATUMI**

BATUMI
23 DECEMBER, 2009

ღირსების ორდენი

მოქმობა № 02099

თამაზ ბეჟანიძე

საქართველოს პრეზიდენტის
1999 წლის 10 ივლისის

№ 847

ფგარეულებით დაჯილდოვდა

ღირსების ორდენი

№ 02093

საქართველოს
პრეზიდენტი *შ. შავჩავაძე*
ე. შუგარდნაძე

C
M
Y
K


უვალე ნათელი უაქისა
 მრავალი ეწითეწით შეიძლება ვაქით და ვადლით
 ბაქონი თამაზი, მაგრამ ის ყოველთვის უბნალოებით
 გამოიჩინება. მისი გადმოცემით ექვსი წლის ასაკში
 ჩააქვებს ჩონა, რამაც ისე მოაჯადოვა, რომ არასოდეს
 გაუხდა.

90 წლის ისტორიის მქონე ანსამბლს, მოგვსენენ-
 ბათ, მრავალი თამაზ ატობრდა, ამ ანსამბლში ბევრს
 უცეხვია, თავისი ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით
 გარუვეული ეპოქა შეუქმნია, სწორედ მათ შორის იყო
 ბაქონი თამაზ ბეჯანიძე. მისი პრიფესიონალიზმი შეუ-
 ფასებელა, ის ქმნიდა ცეხვის საუბეთესო ნიმუშებს,
 ავტოკლებდა სვენახე და თამბიდან თამბენს გად-
 ასვენებდა, ამასთან ერთად ის უნერგავდა შრომისმოყ-
 ვარეობას, საქმისადმი დიდ სიყვარულს, უანგაროდ
 უზიარებდა თავის გამოცდილებას უმცროს ყოლებებს,
 ასევე არ იშურებდა ძალას ამ მსოფსანი ანსამბლის
 აღორძინებისა და წინსვლისთვის.

რითულის იყო უარგი მოცეხვავე, შემდეგ – მოწოდებ-
 ით ქორეოგრაფი, სიციცხლის ბოლომდე – უარგი ხე-
 ლმძღვანელი, ცხოვრების მანძილზე მინიჭებული
 ყველა იმ რეგალიის მაცარებელი და რაც მისთვის
 მოავარი და მნიშვნელოვანი – ყველასათვის საყვარ-
 რელი პრიფესია, რითულის მაგრამ, თამამად შეი-
 ძლება ითქვას, რომ ეს შეძლო თამაზ ბეჯანიძემ.

მისი სახელი იქნოს ასოებით ჩაიხერება აჭარის
 სიმღერისა და ცეხვის სახელმწიფო ანსამბლისა და
 ქართული ქორეოგრაფიის ისტორიაში. წავიდა და და-
 ცოვა უვალე ნათელი უაქისა.

აჭარის მ.უხიანიძის
 სახელმწიფო სიმღერისა და ცეხვის
 სახელმწიფო ანსამბლი



ქართული ქორეოგრაფია მდიდარია კორი-
 ფეებით, მე როგორც ხელოვანი, ვთვლი, რომ
 დაუკარგეთ ქართული ცეხვის მარგალიტი,
 დიდი მოცეხვავე, ბუმბერაზი პიროვნება.
 ათეული წლებია ვმოღვაწეობ ამ სფეროში,
 დღესაც ვდგავარ სტენაზე, ცეხვა ჩემი ცხ-
 თვრების ნაწილია, ამის გარეშე მე არ შემი-
 ძლია, ასევე არ შეეძლო ბატონ თამაზსაც, აღ-
 ბათ, ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ წლების
 წინ მისი გადაწყვეტილებით გადმომილოცა
 ბავშვთა ანსამბლი "განათლებელი". ჩემთვის ეს
 დიდი პატივია და პასუხისმგებლობაც, ეს
 ანსამბლი დღესაც აგრძელებს იმ ტრადიციებს,
 რასაც წლების წინ საფუძველი ჩაუყარა თამაზ
 ბეჯანიძემ. ის იყო, არის და იქნება ჩემთვის
 მაგალითი თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი
 პიროვნება და ნამდვილი ხელოვანი. მისი გარ-
 დაცვალების შემდეგ ჩემთვის დრო გაჩერდა.
 მარკა სინარულიძე
 მოცეხვავე-მსახიობი

<p>საქართველოს ქორეოგრაფია</p> <p>მის: თბილისი, ბ. ტატილაშვილის ქ. №8</p>	<p>სარედაქციო საბჭო:</p> <p>რეზო ჭანიშვილი, ოლეგ ალავიძე, რევაზ ბალანჩივაძე, უჩა დვალისხილი, ზაურ ლაზიშვილი, ნინო მდევაძე, ბესიკ სვანიძე, თენგიზ უთმელიძე.</p>	<p>სავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადა- ბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმებულად დაუშვებ- ლია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტე- ბის, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემო- სული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.</p>	<p>რედაქტორი: რუსუდან კანჭოშვილი</p> <p>ტელ.: 235 48 41 558 19 00 14</p> <p>Facebook – საქართველოს ქორეოგრაფია www.qor.org.ge</p>
--	---	---	---